შპს ბილჯ ვოტერ

საქართველო, 0162 თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქ. № 70
ბინა № 86, ტელ.: 995 599381000

ელ. ფოსტა: bilgewater.ge@yahoo.com

BILGE WATER
Keeping the waters blue

LLC BILGE WATER

86 App. 70 Irakli Abashidze St. Tbilisi 0162, Georgia 2
mob.: 995 599381000

e-mail: bilgewater.ge@yahoo.com

№ 171

2 სექტემბერი 2020 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს ,,ბილჯ ვოტერ"-ის სახელზე 2013 წლის 29 ნოემბრის No-321 ბრძანებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ბილჯ ვოტერ"-ზე გაცემულია №62 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (სახიფათო ნარჩენების (ლიალური წყლების უტილიზაცია გადამუშავება)).

ამასთან, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 31 ივლისის No-573 ბრძანებით დამტკიცებულია მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ N7 გადაწყვეტილება „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის თემის სოფ. საბაჟოში შპს „ბილჯ ვოტერ"-ის სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების განთავსება) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელებს შესახებ".

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 47-ე მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად: „საქმიანობის განმახორციელებლის მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისი გეგმა-გრაფიკით დადგენილ ვადებში სრულად შესრულების შემთხვევაში იგი უფლებამოსილია მიმართოს სამინისტროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად".

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მოთხოვნების საფუძველზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს ,,ბილჯ ვოტერ"-მა 2020 წლის 17 ივლისის N11050 განცხადებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგინა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 11 ოქტომბრის „ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შედგენისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესების დამტკიცების თაობაზე" №2-827 ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა შპს ,,ბილჯ ვოტერ"-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ქალბატონ ხატია წილოსანის 2020 წლის 19 აგვისტოს N7956/01 წერილის საფუძველზე კომპანიას წარედგინა შენიშვნები წარდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით.

№ 13895
02 09 2020
2/ch

აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ 2020 წლის 19 აგვისტოს N7956/01 წერილის შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულ შპს „ბილჯ ვოტერ"-ის ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის შესწორებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გთხოვთ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი:

1. შპს „ბილჯ ვოტერ"-ის ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი და ელ. ვერსია (1 CD);

პატივისცემით,

შპს „ბილჯ ვოტერ"-ის დირექტორი

დავით ჩიქოვანი